

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათა მონიტორინგის ცენტრის მიერ
დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნაღებო, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდა-მთიან რაიონებში - 20-25 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 26 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 762 მილიმეტრი.
მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

დემოკრატიის
სამოქმედო გეგმა
მიიღეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 68-ე სხდომა გაიმართა. სხდ-



ომაზე კომისიის წევრებმა საქართველოში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის გაძლიერების გეგმის თაობაზე არაერთხელ, ე.წ. დეკლარაციის საფუძველზე შეთანხმებული ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე.

დოკუმენტი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობაში ე.წ. სისტემური მიდგომით განსხვავებული ცვლილებების პაკეტს, სადაც კონკრეტული ვადების გაწერის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მისაღებად.

დოკუმენტი მოიცავს 7 სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის: ანტიკორუფციულ და ანტიმონოპოლიურ მიმართულებებს, ფულის გათვრებისა და მფარველობის საკანონმდებლო საკითხებს, ასევე - მართლმსაჯულებაში განსახორციელებელ ღონისძიებებს. დოკუმენტის მიღების შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეწეა რეკომენდაცია, გააგრძელოს დამატებითი კონსულტაციები ევრობელ პარტნიორებთან. მთავრობის მიერ დოკუმენტის მიღების შემდეგ, სამუშაო პროცესი საქართველოს პარლამენტში გადაინაცვლებს.

ეს არის კომპლექსური სამოქმედო გეგმა, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს, რომ საქართველომ დემოკრატიის რეკომენდაცია ამომწურავად და სრულფასოვნად შეასრულოს. რას მოიცავს ეს გეგმა, ჩვენმა საზოგადოებამ რომ იცოდეს - ეს არის რიგი ამოცანებისა, რომელიც განსაზღვრულია თითოეული უწყებისთვის და რაზეც პარლამენტი მუშაობას განაგრძობს ამ კვირიდანვე, - განაცხადა პარლამენტის ვიცე სპიკერი ანდრეა თალაკვაძემ.

ბათუმში მცხოვრებ 100 ოჯახს თანამედროვე სასწავლებელ კომპლექსში ბინები გადაეცა

მანანა ტაბიძე 593 10 15 17

„ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ პროგრამის ფარგლებში, ბათუმში მცხოვრებ 100 ოჯახს თანამედროვე საცხოვრებელ კომპლექსში ბინები სრული რემონტით გადაეცა

„ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ პროგრამის პირველ ეტაპზე, 2021 წელს ბინები 80 ოჯახს გადაეცა. პროგრამის მეორე ეტაპზე, საცხოვრებელი კომპლექსი ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №82-ში აშენდა. დასახლება 100 ოჯახზეა გათვლილი. ბენეფიციარები, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შეარჩია. გუშინ პროგრამის მონაწილე ოჯახებს ბინის გასაღებები საზეიმოდ გადაეცათ.

ასეთი პროექტები გვაძლევს სტიმულს, კიდევ უფრო მეტი გავაცეთო ჩვენი თანაქალაქელებისთვის, რეგიონის მცხოვრებლებისთვის. ბოლო პერიოდში შევქმელით წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების მოგვარება. ვიცით, რომ ეს არ არის საკმარისი. ხშირად გვიწუნებენ ჩვენი ოპონენტები საქმიანობას, დღევანდელი დღეც ცხადყოფს ჩვენი მთავრობის სწორ



კურსს და მომავალშიც გავაგრძელებთ მოსახლეობის მხარდაჭერას საჭირო პროექტებით. მალე დაიწყება პროექტის მეორე ფაზა, „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროექტის ფარგლებში 3000 ოჯახი დაკმაყოფილება და ღირსეული საცხოვრებელი პირობები შეექმნება. კარგია, რომ ბიუჯეტი, რომელიც სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, ამის შესაძლებლობას გვაძლევს. გაზრდილია დაინტერესება ინვესტირების მხრიდანაც, ბათუმი არასოდეს ყოფილა ასეთი მიმზიდველი და პოპულარული სავაჭრო ცენტრი. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალმოსახლობას, მინდა, ბენეფიციარებს და წარმატება გისურვოთ ახალ ბინებში, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ე.წ. იაფი სახლის პროგრამით ბათუმში რეგისტრირებული ის მოქალაქეები სარგებლობენ, რომელთაც არ აქვთ ბინა. პროექტის საერთო ღირებულება 13 მილიონამდე ლარია. აჭარის მთავრობა ბათუმის მერიასთან ერთად აქტიურად მუშაობს პროგრამაზე „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, რომლის ფარგლებშიც 3000-ზე მეტი ოჯახი შეძლებს უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას. პროგრამის ფარგლებში, ბათუმში არსებული ყველა ავარიული შენობა ეტაპობრივად თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსით ჩანაცვდება.

ჩვენი გუნდის დაპირება შესრულებულია. დღეს ბათუმში მცხოვრებ 100 ოჯახს ბინები გადაეცემა. დღეიდან ეს ოჯახები შეძლებ-



ენ თანამედროვე სტანდარტების და სრულად გარემონტებულ კორპუსში ცხოვრებას. ამ ეტაპზე, უკვე 180 ოჯახს გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი ფართი. მინდა მივულოცო თითოეულ მათგანს და გუსურვო მშვიდობა და კეთილდღეობა. ოჯახებმა, რომლებსაც დღეს ბინები გადაეცათ, „ხელმისაწვდომი საცხოვრისი პროგრამით“ ისარგებლეს. პროგრამის ბათუმის მერია ახორციელებდა. სარგებლობა ბათუმში რეგისტრირებულ მოქალაქეებს შეეძლოთ, რომელთაც არ ჰქონდათ ბინა და ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის საშუალება აქვთ. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც დაუღალავად იმუშაო, რომ ამ ოჯახებს საკუთარი საცხოვრებელი ფართი ჰქონოდათ. კიდევ ერთხელ გულოცავ ყველას და მჯერა, მომავალშიც არაერთ მნიშვნელოვან, მოქალაქეებზე მორგებულ პროექტს განვახორციელებთ, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

დღეს ახალი სასწავლო წლის პირველი ზარი დაირქევა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

დღეს, 15 სექტემბერს, საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში, 2023-2024 სასწავლო წლის პირველი ზარი დაირქევა. ჩვენს რეგიონში 6465 პირველკლასელი რეგისტრირებული. მათ სხვადასხვა საჯარო სკოლაში განაწილებული ინტეგრირებული დახვედებით

ყოველწლიურად ბათუმში, აჭარას ემატება ახალი თანამედროვე სტანდარტის საგანმანათლებლო სივრცეები - შენდება ახალი სკოლები, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები. აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს 90-მდე სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია. მხოლოდ 2022-2023 სასწავლო წელს 7 ახალი სკოლა შეემატა აჭარას და 25 000 მოსწავლისთვის გაუმჯობესდა სასწავლო გარემო. მიმდინარე წელს ახალი სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფილი იქნება 26 საჯარო სკოლა. 8 საჯარო სკოლას შეემატა ახალი ტექნიკა, 12 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია მხატვრული ლიტერ-



ატურით. 4 საჯარო სკოლაში ხორციელდება ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია-აღჭურვა. 3 სკოლა აღიჭურვა მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტით, სპორტული ინვენტარი შეტანი-

ლია 14 საჯარო სკოლაში. ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში უკვე ფუნქციონირებს ფიზიკა-მათემატიკის პროფილის ახალი სკოლა.

საჯარო სკოლებისგან განსხვავებით, ბათუმის მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი 18 სექტემბერს განახლდება. წელს მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში ლიმიტით განსაზღვრულია 9015 აღსაზრდელი. 2023-2024 სააღმზრდელო სასწავლო წლისთვის დაემატა სამი ახალი - №20, №35, №36 მუნიციპალური სკოლამდელი განათლების დაწესებულება.

ქალაქის მერ არჩილ ჩიქოვანის თქმით, წელს ბათუმში დაგეგმილია და მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 22 საბავშვო ბაღის მშენებლობა და რეაბილიტაცია. აქედან 12 ბაღში ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტები დაინერგება. წელს და მომდევნო წლებში საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 24 მილიონ 300 ათასამდე ლარი დაიხარჯება.

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციის «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.
გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



„საქართველოს დასავლეთთან დაახლოება შეუქცევადი პროცესია“

ლევან ხოშიანიძე 593 50 82 69

ჩვეურობით ისევე როგორც პოლიტიკადაა გაყოფილი საქართველოს პოლიტიკური ველი, თუმცა შეიმჩნევა პოლიტიკური სპექტრის გამრავალფეროვნება - ცალკე „ლელო საქართველოსთვის“ აქტიურობს და ოპოზიციის ნაწილს ახალი ცენტრის ჩამოყალიბებას სთავაზობს, ჩრდილში ყოფნას არც განხილავს პარტია აპირებს და არჩევნებში მნიშვნელოვან შედეგს პროგნოზირებს. ცხადია, გამარჯვებულზე საუბრობენ მმართველი პარტია და „ნაციონალური“



უდავოა, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ისტორიული მნიშვნელობისა მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. ჩერ ერთი, არჩევნები მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარდება და თანაც, დასავლეთი გაბადიდებული შუშით დავაკვირდება. ამას ცხადყოფს თუნდაც ამას წინათ თბილისში ევროკავშირის მაღალჩინოსან ჟოზეფ ბორელის ვიზიტი. ამ მხრივ, ერთგვარი ლაკმუსი იქნება ევროკომისიის დასკვნა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსთან მიმართებით. თუ როგორ ჩავაბარებთ დემოკრატიის ტესტს, ბევრწლიად განაპირობებს საქართველოს მომავალს ევროინტეგრაციის კუთხით.

არბიბის დაძლიებისთვის შესაძლებლობის მაქსიმუმის გაკეთებას, უკეთეს განათლებას და ჯანდაცვას. ოპოზიცია გულწრფელად უნდა საუბრობდეს საზოგადოების მთავარი პრობლემის - სოციალური სიღატაკის დაძლიების გზებზე. ჩემი აზრით, სწორედ ამ გზაზე გავისწავლოთ საზოგადოებასა და ოპოზიციას შორის.

- თქვენმა პარტიამ გააყვანა ახალი ოპოზიციური გაერთიანების საკითხი. რა სახელზე ამ მიმართებით?

- პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, „დროას“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ გაერთიანება, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ცოტა გასაკვირიც კი არის მათი დაშლა და ხელახლა გაერთიანება, რაც ამოჩვენებს აზნებს და ინდივიდუალურ ხდის, მაგრამ საერთო ოპოზიციური სპექტრისთვის სასიკეთოა, ვინაიდან ეს დაძრავს პროცესს ოპოზიციისა და ამ ორ პარტიას მისცემს ბარიერის გადალახვის შესაძლებლობას.

- პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, „დროას“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ გაერთიანება, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ცოტა გასაკვირიც კი არის მათი დაშლა და ხელახლა გაერთიანება, რაც ამოჩვენებს აზნებს და ინდივიდუალურ ხდის, მაგრამ საერთო ოპოზიციური სპექტრისთვის სასიკეთოა, ვინაიდან ეს დაძრავს პროცესს ოპოზიციისა და ამ ორ პარტიას მისცემს ბარიერის გადალახვის შესაძლებლობას.

- რა სახელზე ამ მიმართებით?

- პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, „დროას“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ გაერთიანება, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ცოტა გასაკვირიც კი არის მათი დაშლა და ხელახლა გაერთიანება, რაც ამოჩვენებს აზნებს და ინდივიდუალურ ხდის, მაგრამ საერთო ოპოზიციური სპექტრისთვის სასიკეთოა, ვინაიდან ეს დაძრავს პროცესს ოპოზიციისა და ამ ორ პარტიას მისცემს ბარიერის გადალახვის შესაძლებლობას.

- რა სახელზე ამ მიმართებით?

- პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, „დროას“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ გაერთიანება, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ცოტა გასაკვირიც კი არის მათი დაშლა და ხელახლა გაერთიანება, რაც ამოჩვენებს აზნებს და ინდივიდუალურ ხდის, მაგრამ საერთო ოპოზიციური სპექტრისთვის სასიკეთოა, ვინაიდან ეს დაძრავს პროცესს ოპოზიციისა და ამ ორ პარტიას მისცემს ბარიერის გადალახვის შესაძლებლობას.

- რა სახელზე ამ მიმართებით?

- პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, „დროას“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ გაერთიანება, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ცოტა გასაკვირიც კი არის მათი დაშლა და ხელახლა გაერთიანება, რაც ამოჩვენებს აზნებს და ინდივიდუალურ ხდის, მაგრამ საერთო ოპოზიციური სპექტრისთვის სასიკეთოა, ვინაიდან ეს დაძრავს პროცესს ოპოზიციისა და ამ ორ პარტიას მისცემს ბარიერის გადალახვის შესაძლებლობას.

- რა სახელზე ამ მიმართებით?

- პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, „დროას“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ გაერთიანება, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ცოტა გასაკვირიც კი არის მათი დაშლა და ხელახლა გაერთიანება, რაც ამოჩვენებს აზნებს და ინდივიდუალურ ხდის, მაგრამ საერთო ოპოზიციური სპექტრისთვის სასიკეთოა, ვინაიდან ეს დაძრავს პროცესს ოპოზიციისა და ამ ორ პარტიას მისცემს ბარიერის გადალახვის შესაძლებლობას.

ისე ალიქვამენ, როგორც მათთვის უკეთესია, ხშირ შემთხვევაში, ძალიან სუბიექტურად ხელისუფლება ასეთ დროს ოპოზიციის დისკრედიტაციას ახდენს, ოპოზიცია ხელისუფლებას აკრიტიკებს და კონკრეტული ნათქვამის შინაარსი იკარგება. ფაქტი ფაქტად რჩება, რეკომენდაციების შესრულების მხრივ არის ხარვეზები, ნაკლოვანებები, მაგრამ არის მთავარი კომპონენტი - საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას სურს ევროკავშირში გაწევრიანება, რასაც ევროკავშირი აუცილებლად გაითვალისწინებს.

- კვლავ საშინაო საკითხს დაუბრუნდეთ. როგორც ცნობილია, არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება, ეს რა შინაარსის აქტის ოპოზიციურ სპექტრს თუნდაც კოალიციური მთავრობის შესაქმნელად?

- ნაწილობრივ მაჟორიტარული სისტემიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა საქართველოში შესაძლებელია, თუკი უფრო ამცირებს, რადგან მას სჭირდება საზოგადოებისგან ძალიან მაღალი ლეგიტიმაცია, რაც არ გააჩნია. 5%-იანი ბარიერის შემთხვევაშიც, საქართულ ოცნებას არ აქვს რესურსი, შეინარჩუნოს ძალაუფლება, თუკი სხვა პარტიებთან არ ითანამშრომლებს და ისეთი პარტია, რომელმაც შეიძლება „ოცნებასთან“ ითანამშრომლოს, ბარიერს ვერ გადალახავს. თუკი ოპოზიცია მთავრდება, რომ მიზანმიმართულად დაამარცხოს ივანიშვილის რეჟიმი, რაც მარტივი არ არის, მაგრამ არც შეუძლებელია.

ლევან ღვინიაშვილი: „შუახვიპენი“ უსაფრთხოა, თუმცა...

მე-2 გვერდიდან

დიდაჭარის კაშხალს უტარდება უწყვეტი მონიტორინგი, რისთვისაც გამოიყენება კაშხალზე დაყენებული საუკეთესო ინსტრუმენტები და ვიზუალური ინსპექცია. დარეგულირებული ზომის სახით „აჭარისწყალი ჯორჯია“ დაიქირავა საერთაშორისო კაშხლის სპეციალისტები, რომელთა მოვალეობებში შედის უსაფრთხოების და მდგრადობის შემოწმება და კაშხლის კონსტრუქციის დამატებითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. 2023 წლის იანვარ-მარტის პერიოდში, კაშხლის სპეციალისტებმა დიდაჭარის კაშხალზე განხორციელეს დეტალური შეფასება, გადაამოწმეს შესაბამისი მონაცემები და მოამზადეს დასკვნა, რომლის თანახმადაც კაშხლის კონსტრუქცია უსაფრთხოა, ხოლო წყლის გამონადენი კაშხალზე დიდი რაოდენობით უსაფრთხოა. „აჭარისწყალი ჯორჯია“ კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ დიდაჭარის კაშხალი და მასთან დაკავშირებული ყველა ნაგებობა სათანადო საექსპლუატაციო მდგომარეობაშია, ასევე, ხორციელდება გეგმური მონიტორინგი. შესაბამისად, კაშხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შესაძლო შემთხვევებს არავითარი საფრთხე არ გააჩნია“, - ნათქვამია „აჭარისწყალი ჯორჯიას“ განცხადებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ლევან ღვინიაშვილმა უზრუნველყოფის საუბარში განაცხადა, რომ „შუახვიპენი“ უსაფრთხოა, თუმცა ერთი თვის განმავლობაში სამინისტრო შესწავლის მონაცემებს დააკვირდება.

„რა ანგარიშები მომივიდა, მეუბნებიან, რომ ამ შემთხვევაში არ არის გამოვლენილი კაშხლის ბეტონის რღვევა და წყლის ნაკადი არ უკავშირდება სადგურის რაიმე სახის დაზიანებას. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოა და წყლის შეგუბება დაზიანების გამო არ არის დაწყებული, რაზეც საგარეულოდ იყო სიუჟეტის საუბარი, თუმცა არ მინახავს. ენერჯეტიკოსების მხრიდან დაკვირვება მიმდინარეობს და ეს პროცესი ერთი თვის ვადაში გაგრძელდება იმისთვის, რომ რისკი გამოირიცხოს. დაკვირვება საჭირო გახდა იმ შემთხვევაში, როდესაც კაშხლის მონიტორინგი, რომელიც უსაფრთხოა, ხოლო წყლის გამონადენი კაშხალზე დიდი რაოდენობით უსაფრთხოა. „აჭარისწყალი ჯორჯია“ კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ დიდაჭარის კაშხალი და მასთან დაკავშირებული ყველა ნაგებობა სათანადო საექსპლუატაციო მდგომარეობაშია, ასევე, ხორციელდება გეგმური მონიტორინგი. შესაბამისად, კაშხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შესაძლო შემთხვევებს არავითარი საფრთხე არ გააჩნია“, - ნათქვამია „აჭარისწყალი ჯორჯიას“ განცხადებით.

შეგახსენებთ: დიდაჭარის კაშხალი და წყალსაცავი მდებარეობს მდინარეების აჭარისწყლისა და ლორჯომისწყლის შესართავთან. 52 მეტრი სიმაღლის ბეტონის კაშხლის წყალსაცავის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 998 000 კუბურ მეტრს, ხოლო მისი ზედაპირის ფართობია 152 500 კვ.მ. სადაწინო გვირაბის წყალმიმღები განთავსებულია მდინარის მარჯვენა სანაპიროზე. შუახვიპენის ელექტროსადგურს წყალი მიეწოდება 17,8 კმ სიგრძის და 6,2 მ დიამეტრის მქონე მთავარი სადაწინო გვირაბის მეშვეობით. ჯამში, შუახვიპენის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი მოიცავს დაახლოებით 37,7 კმ სიგრძის გვირაბებს და გვირაბის 11 პორტალს.



რა სიასლებით ხვდება აჭარა ახალ სასწავლო წელს?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

დღეს საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. რამდენად მომზადებული ხვდება აჭარის რეგიონი სასწავლო პროცესს? რა გამოწვევების წინაშეა? რა გაკეთდა ზოგადი განათლების გაუმჯობესების კუთხით და მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შესაქმნელად? - ვაზეთ აჭარის "ამ და სხვა კითხვებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მანა ზაქარაიძემ ამ დღეებში უპასუხა.



მადლობას გიხდით საკითხით დაინტერესებისათვის და ვიდრე მზაობაზე ვისაუბრებთ, მსურს, ახალი სასწავლო წელი მივულოცო სასკოლო საზოგადოებას - მასწავლებლებს, დირექციების წარმომადგენლებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს და ვუსურვო მშვიდობიანი, წარმატებული, სიახლეებითა და საინტერესო პროექტებით დატვირთული სასწავლო წელი. განსაკუთრებით მინდა მივულოცო იმთა, ვინც პირველად შეაბიჯებს საკლასო ოთახში - ახალი ინფორმაციებით, ცოდნით, აღმოჩენებითა და პოზიტიური ემოციებით სავსე დღეებს ვუსურვებ. მთელი რეგიონის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს სამზადისი სწავლის დაწყებისთვის. ეს უკავშირდება როგორც მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას, ასევე, შესაბამისი ადამიანური რესურსის მოზიდვას. სკოლებში გამოცდილი და დამსახურებული მასწავლებლებს გვეურთ ახალი სასწავლო წელიდან პედაგოგიური საქმიანობის შეუდგება არაერთი ახალგაზრდა. უპრეცედენტოა გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა. რეგიონის სკოლებში 1000-ზე მეტი კონკურსი გამოცხადდა ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტების პარალელურად, ზაფხულის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა აჭარის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება. სამინისტროს გუნდმა, რესურსცენტრებსა და სკოლების დირექციებთან ერთად, მოცულობითი სამუშაოები ჩატარა, რათა ახალი სასწავლო წელი უფრო მეტად პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს, უზრუნველყოფდეს სწავლა-სწავლების ინკლუზიურობას და გაიზარდოს განათლების ხარისხი. წელსაც, სკოლებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების მხარდაჭერა აქტივობებთან ერთად, მნიშვნელოვან ყურადღებას ვუთმობთ არაფორმალურ განათლებას.

- ქალბატონო მანა, უფრო კონკრეტულად გვითხარით მიმდინარე პროექტებზე.

- მიმდინარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით აღჭურვა. წელს 26 სკოლა შეივსება 3690 ცალი კომპლექტით. აქედან, ბათუმის 8 საჯარო სკოლაში უკვე შეტანილია 1300 კომპლექტი. სკოლების სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფა გრძელდება. წელს აჭარის 8 საჯარო სკოლის 50 საკლასო ოთახი აღჭურვა სხვადასხვა ტექნიკით - ლექტორებით, პროექტორით, ეკრანით, ხმ-

წვის პოპულარიზაცია, სპორტულ აქტივობებში მოსწავლეების ჩართვა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიზნით ეწყობა ღია და დახურული სპორტული მოედნები, დარბაზები, ასპარეზობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში... 2022-2023 სასწავლო წელს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში გამარჯვება იხვედრება მოსწავლეებმა, ვიმედოვნებთ, რომ წელს უფრო მეტი გამარჯვებული გვეყოლება. წელს 14 საჯარო სკოლა აღჭურვა სპორტული ინვენტარით (მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის აღჭურვილობა და სხვა).

- ინკლუზიური განათლება როგორ იწვევება აჭარის საჯარო სკოლებში?

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF Georgia) და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, 2022 წლიდან ახორციელებს პროექტს „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“. მის ფარგლებში, სსიპ „ვახტანგ პაპუნისის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლისა“ და სსიპ „თემურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის №3 საჯარო სკოლის“ ბაზაზე შექმნილი ინკლუზიური განათლების ცენტრები ემსახურება შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სსიპ მოსწავლეებს სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო და არტთერაპიული აქტივობების მეთავაზების გზით. პროექტის ფარგლებში, მოწყობა დადებითი ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და რეკრეაციული სექციები, კერამიკის, გამოყენებითი ტექსტილის, სახვითი ხელოვნების სექციები, რესურს-ოთახი.

- წელს რამდენი ბირველკლასელი დარეგისტრირდა აჭარის მასშტაბით?

- ბირველ კლასში დარეგისტრირდა 6465 მოსწავლე, მათ შორის, საჯარო სკოლაში - 5615, ხოლო კერძოში - 759 მოსწავლე.

- რა პროგრამული ცვლილებები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში?

- ცვლილებებია საათობრივ ბაზაში: I კლასში ინგლისური ენის სწავლება მე-2 სემესტრში გახდა 2 საათი; I და II კლასებში საგანმანათლებლო ჭარბის სწავლება; X კლასში დაემატა არჩევითი საგანი და პროექტების სწავლება; XI კლასში გაუქმდა საგნო მოძრაობა, დაემატა პროექტების სწავლება, საქართველოს ისტორია დამოუკიდებელ საგანად დამატებული და სხვა.

- ქალბატონო მანა, პედაგოგების მხარდაჭერად რა სიახლეები დაგეგმილია?

- მკითხველმა უკვე იცის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და საქართველოს სასწავლო კორპუსები შენდება. ყოველწლიურად ემატება ქალაქს ახალი შენობები და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბათუმის ცენტრალურ ნაწილში, პირველად ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საფუძველი ჩაეყარა და მიმდინარეობს სრულიად ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაპროექტებული სკოლის მშენებლობა.

საერთაშორისო საზონური სკოლა - სხალთა-ხინანის ხეობაში

მანანა კიძიშვილი 598 24 94 97

ათი დღის განმავლობაში (29 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე) სხალთა-ხინანის ხეობაში საერთაშორისო სეზონური სკოლა მიმდინარეობდა, რომელიც პროექტის „ენისა და კულტურის დოკუმენტაცია და არქივირება ციფრულ ეპოქაში“ ფარგლებში სასტუმრო „ირე პალასი ხინანში“ ჩატარდა

პროექტი, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა, ჰუმანიტარო-აზიისკენ დაინტერესების კულტურული მემკვიდრეობის - ენისა და კულტურის ციფრული დოკუმენტაციისა და არქივირების თეორიული ცოდნის გადაცემას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების ათვისებას და აჭარის ლინ-

გვოკულტუროლოგიური პორტრეტის შექმნაში სტუდენტების (ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების) ჩართვას ისახავდა მიზნად.

როგორც საერთაშორისო საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელმა, ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორმა მანანა თანდაშვილმა აღნიშნა, 21-ე საუკუნეში ენისა და

და ფულადი ჯილდო იგულისხმება. მასწავლებელთა წახალისებისა და სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ახალი პროგრამების და ინიციატივების დანერგვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიიღო აჭარის მთავრობამაც. ახალი ინიციატივის თანხმად, 2024 წელს ბიუჯეტიდან გამოიყოფა 300 ათასი ლარი. მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შეიქმნება ცალკე ფონდი, რომლის ფარგლებშიც მასწავლებელი, რომელიც დაგეგმავს და დანერგავს ინოვაციურ პროექტებს საჯარო სკოლებში, ისარგებლებს 500-ლარიანი დანამატით. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას. უმაღლესი სასწავლებლების და პროფესიული კოლეჯების მასწავლებლების და ლექტორების მსგავსად, საჯარო სკოლების პედაგოგებიც ისარგებლებენ მხარდაჭერით და დაუფინანსდებათ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. 2023 წელს აჭარის ბიუჯეტიდან გამოიყოფილი დაფინანსებითა და აჭარის განათლების ფონდის ორგანიზებით, მასწავლებლებისთვის გაიმართა მომზადება-გადამზადების კურსები, ტრენინგები, რომელიც გაიარა 4600-ზე მეტმა მსმენელმა. ეს ტრენინგები მასწავლებლებს ეხმარება კარიერულ წინსვალასა და განვითარებაში ციფრული განათლების სფეროში.

- ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, რა გამოწვევები გვაქვს დღეს?

- მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა, სკოლების წინაშე დასახული მიზნების მრავალფეროვნება, აკადემიური მიღწევებისთვის აუცილებელი რესურსების და არაფორმალური განათლებისთვის სივრცეების საჭიროება, ავტორიზაციის პროცესი - ეს ყველაფერი გამოწვევაა ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით. თვალსაზრისითა და სემინარების, რაც განხორციელდა ან ხორციელდება სასკოლო განათლების სფეროში. წელს, ბიუჯეტის კორექტირებისას, კვლავ გაიზარდა ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა და დღესთვის 33 მლნ ლარია. შედეგად, რეგიონში მიმდინარეობს 90 სკოლის მშენებლობა/რეაბილიტაცია. რა თქმა უნდა, აჭარის მასშტაბით ჯერ კიდევ რჩება სკოლები, სადაც საჭიროა ახალი შენობის მშენებლობა ან კიდევ არსებული სკოლის სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ეს ყველაფერი 2026 წლის ბოლოსთვის მოგვარდება. სამინისტროს მიზანია, ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა, შქმონში შეიქმნას სასწავლო ფართების ნაკლებობა, რის გამოც ბათუმის სკოლების ახალი თუ დამატებითი სასწავლო კორპუსები შენდება. ყოველწლიურად ემატება ქალაქს ახალი შენობები და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბათუმის ცენტრალურ ნაწილში, პირველად ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საფუძველი ჩაეყარა და მიმდინარეობს სრულიად ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაპროექტებული სკოლის მშენებლობა.



